პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი

№ 67 (12579) | ოთხშაბათი, 20 მარტი, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.

მექანიზაციორი მინდვრის ბატონ-პატრონია

ვაჩაღლა საგაზაფხულო სამუშაოები სოფლად. მინდვრად სულ უფრო მეტი სასოფლო-სამეურნეო მანქანები გამოტანეს. მექანიზატორები ხნავენ, თესავენ, საფუძველს უყრიან შვიდწლედის მეხუთე წლის უხვ მოსავალს.

საგაზაფხულო კულტურების თესვის აგროტექნიკურ ვადებში და მაღალხარისხოვნად ჩატარება დიდად არის დამოკიდებული მექანიზატორებზე. მექანიზატორი მინდვრის ნამდვილი ბატონ-პატრონია. მძლავრი ტრაქტორები, საუკეთესო სათესები, კულტივატორები, კომბაინები და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები ის მძლავრი საშუალებაა, რომლის მეოხებითაც კარგ მექანიზატორს შეუძლია მინდვრად სასწაულები მოახდინოს.

ახლა თითქმის ყოველ კოლმეურნეობას, საბჭოთა მეურნეობას საკმარისად აქვს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა. მთავარია, ვინ როგორ იყენებს მუშაობაში მანქანებს, აგროტექნიკურ წესებს. მანუკოვსკი, გიტალოვი და ჩვენს ქვეყანაში სხვა სახელგანთქმული მექანიზატორები ბუნების წყალობას როდი უცდიან. ისინი მძლავრი ტექნიკითა და წლობით დაგროვილი მდიდარი გამოცდილებით ბუნებისაგან იღებენ იმის მაქსიმუმს, რის მოცემაც მას შეუძლია.

კომპლექსური მექანიზაციის გამოუყენებლად ძნელია ვაწარმოოთ ბევრი და იაფი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები. ვინც კარგად იყენებს მანქანებს, იცის მიწის ყადრი, წარმატებასაც ის აღწევს. ვინ არ იცნობს ახლა რესპუბლიკაში სახელგანთქმულ მექანიზატორებს გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის კოლმეურნეობის მექანიზატორს ზ. არჩევნიშვილს, გორის რაიონის ზეღდულეთის მექანიზატორს გ. ცერცვაძეს, სიღნაღის რაიონის სოფელ მაღაროს კოლმეურნეობის მექანიზატორს ი. ბაიდოშვილს, ქარელელ გ. სიხაშვილს, სართიჭალელ გ. გიბიშვილს...

გურჯაანის საწარმოო სამმართველოს ბევრმა კოლმეურნეობამ შარშან უამინდობის გამო მარცვლეული კულტურების დაბალი მოსავალი მიიღო, მაგრამ ჩუმლაყელებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს. მექანიზაციის გამოყენებით, შრომის ნაყოფიერების გადიდებით 410 ჰექტარი ნათესის საშუალოდ ჰექტარზე 29,8 ცენტნერი ხორბალი მიიღეს, 24 ცენტნერი ქერი და 14,8 ცენტნერი სამარცვლე ბარდა.

იაფი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების საწარმოებლად და შრომის ნაყოფიერების გაზრდის მიზნით ჩვენი ქვეყნის საბჭოთა მეურნეობებში ფართოდ გავრცელდა **მექანიზატორთა შრომის ჯგუფური ორგანიზაცია.** კუსტანაის ოლქის ლენინის სახელობის საბჭოთა მეურნეობაში ამ მეთოდის დანერგვით უამინდობაშიც კი მექანიზატორებმა შრომის მაღალ ნაყოფიერებას მიაღწიეს. ამ საბჭოთა მეურნეობის მესამე ჯგუფში, რომელსაც გ. ლეონოვი ხელმძღვანელობს 16 მექანიზატორია გაერთიანებული. მათ 3.354 ჰექტარი მიწა აქვთ მიმაგრებული. მათს განკარგულებაშია 10 სხვადასხვა მარკის ტრაქტორი, 10 კომბაინი და სხვა მანქანები. ისინი აგრონომთან ერთად ადგილობრივი ბუნებრივი პირობების გათვალისწინებით ადგენენ ხვნა-თესვის აგროტექნიკურ წესებსა და ვადებს. მექანიზატორები შრომის ანაზღაურებას მთელ წელიწადს აკანონებს სახით იღებენ შესრულებული სამუშაოს მიხედვით, ხოლო წლის ბოლოს ხდება ანგარიშის საბოლოო გასწორება მოსავლიანობის მიხედვით. მთელი შემოსავალი ნაწილდება მექანიზატორებს შორის. ჯგუფის უფროსი ხელფასს იღებს მექანიზატორთა თანასწორად, პლუს თავისი ხელფასის 15 პროცენტი.

შრომის ასეთმა ორგანიზაციამ განაპირობა მაღალი მოსავლის მიღება. შრომის ჯგუფური ორგანიზაცია საქართველოს მექანიზატორებისათვის სასარგებლოც არის და მომგებიანიც. **ეს მეთოდი ფართოდ უნდა დაინერგოს.**

შრომის სწორი ორგანიზაციით, მანქანების მაღალი წარმადობით გამოყენებით, მოწინავეთა, კერძოდ სვეტლიჩნის გურჯაანი. (საკ. კორ.). საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, პარტიული ორგანიზაციების მდივნები, სპეციალისტები, ბრიგადირები, კოლმეურნე შუქურები. ოთხასამდე კაცმა მოიყარა თავი რაიონის კულტურის სახლში.

დღის წესრიგშია საკითხი: „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1962 წლის ნოემბრის პლენუმის დადგენილების შესრულების მიმდინარეობა სამმართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში“. სამმართველოს უფროსი ვ. რევაზიშვილი თავის მოხსენებაში დაწვრილებით ლაპარაკობს გასულ წელს მოპოვებულ წარმატებებზე. შარშან გურჯაანელმა მევენახეებმა, თქვა მან, სამშობლოს მისცეს 42.685 ტონა ყურძენი. წარმატებებია მოპოვებული სხვა დარგებშიც.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის ბიუროს თავმჯდომარემ ამხ. შ. ჭანუყვაძემ. შემდეგ მან ყურძნის წარმოებისა და დამზადების საქმეში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ მოპოვებული საუკეთესო შედეგებისათვის საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და პროფკავშირების რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა გადასცა პარტიული კომიტეტის მდივანს ამხ. გ. აზაურაშვილს.

ამხ. გ. აზაურაშვილმა საწარმოო სამმართველოს მშრომელთა სახელით პირობა მისცა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტს, რომ მომდინარე წელს გურჯაანელი მევენახეები გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს მიჰყიდიან ხუთი ათას ტონა ყურძენს, გააშენებენ 3.080 ჰექტარ ახალ ვენახს.

ყვარელი. (საკ. კორ.). კულტურის სახლში გამართულ თათბირს, რომელიც თამბაქოს მოსავლიანობის გადიდების საკითხს მიეძღვნა, დაესწრნენ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, სპეციალისტები, ბრიგადირები, მერგოლურები, რიგითი კოლმეურნეები.

საწარმოო სამმართველოს უფროსმა ვ. უნგიაძემ, რომელიც მოხსენებით გამოვიდა, თქვა, რომ შარშან კოლმეურნეობებმა 4.006 ტონა თამბაქო ჩაბარეს სახელმწიფოს. გეგმა კი 3.225 ტონაზე მეტს არ ითვალისწინებდა. ამ საქმეში თავი გამოიჩინეს კალინოვკის, ულიანოვკის, ცოდნისკარის, ნინიგორის, აფენის და სხვა კოლმეურნეობებმა.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრმა ამხ. ზ. გელდიაშვილმა. მან ყვარლის საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობების მიერ 1962 წელს თამბაქოს წარმოებისა და დამზადების საქმეში საუკეთესო მაჩვენებლების მოპოვებისათვის საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და პროფკავშირების რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა გადასცა სამმართველოს უფროსს ამხ. ვ. უნგიაძეს.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის ბიუროს თავმჯდომარემ ამხ. შ. ჭანუყვაძემ.

გარდამავალი დროშები გამარჯვებულებს

ერთვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მანქანათსაშენებლო ქარხნის კოლექტივმა უკანასკნელ პერიოდში მრავალი ახალი სახის მანქანის წარმოება აითვისა, რომლებმაც დიდი მოწონება ჰპოვა სოფლის მეურნეობის მუშაკებში.

წარმოების კოლექტივმა შარშან გამოუშვა ჩაის საკრეფი საცდელი მანქანები. კონსტრუქტორებმა, ინჟინრებმა და სპეციალისტებმა მანქანების პრაქტიკულად მუშაობის დროს მრავალი საყურადღებო ცვლილება შეიტანეს მისი შემდგომი გაუმჯობესების მიზნით. ქარხნის კოლექტივს დაევალა ამ გაუმჯობესებული მანქანის გამოშვება. მიმდინარე წლის ჩაის ფოთლის კრეფის სეზონისათვის წარმოების კოლექტივმა რამდენიმე ათეული ჩაის საკრეფი მანქანა უნდა გამოუშვას. წარმოების კოლექტივის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ საპატიო დავალებას წარმატებით ასრულებს.

სურათზე: ამწყობი-ზეინკალი ა. ლუხუტაშვილი (მარცხნივ), უბნის უფროსი ნ. ლეკაკა და მთავარი კონსტრუქტორი ნ. ჭაჭიაშვილი ნახაზების მიხედვით ამოწმებენ ჩაის ახალ საკრეფ მანქანას.

ფოტო ე. თევდორაძისა.

ვინ მოიპოვებს ჯილდოს

სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვაში საუკეთესო მაჩვენებლებისათვის

გარდამავალი წითელი დროშის დაწესების შესახებ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის ბიუროს წინადადება, სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვაში საუკეთესო მაჩვენებლებისათვის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშის დაწესების შესახებ.

გარდამავალი წითელი დროშა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს მიეკუთვნება მუშაობის შედეგების მიხედვით კვარტალში ერთხელ იმ პირობით, თუ ერთდროულად გაიზრდება ყველა სახის პირუტყვისა და ფრინველის სულადობა.

გარდამავალი წითელი დროშა გადაეცემათ ყოველი კვარტალის დასაწყისში შედეგების შეჯამების შემდეგ. (საქდესი).

ჩვენ დიად სამშობლოში

აქ ცხოვრობდა და მუშაობდა არტემი

დონეცკი, 18 მარტი. (საკდესის კორ.). ოლქის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გაიხსნა ახალი ექსპოზიცია. იგი მიეძღვნა პროფესიონალი რევოლუციონერის არტემის (თეოდორ ანდრიასძე სერგეევის) დაბადების 80 წლისთავს, რომელიც 19 მარტს შესრულდა. ექსპონატებს შორის არის ფოტოსურათები და დოკუმენტები, მათში ასახულია არტემის აქტიური მოღვაწეობა დონბასში საბჭოთა ხელისუფლების ჩამოყალიბების პერიოდში.

არტემოვსკში — ქალაქში, რომელიც მგზნებარე ბოლშევიკის სახელს ატარებს, გაიმართა საზეიმო კრება. ძველმა კომუნისტებმა, პერსონალურმა პენსიონერებმა გ. ა. მირონშინჩენკომ, III კომინტერნის კონგრესის მონაწილემ ვ. ბ. ციბამ დამსწრეთ გაუზიარეს მოგონებები არტემთან — დონეცკ-კრივოიროგის საბჭოთა რესპუბლიკის სახკომსაბჭოს პირველ თავმჯდომარესთან შეხვედრებისა და ერთად მუშაობის შესახებ.

არტემის ძეგლი, რომელიც ქალაქის ცენტრშია აღმართული, მშრომელებმა გვირგვინებითა და ყვავილების თაიგულებით შეამკეს.

გამოჩენილი რევოლუციონერის ლიტერატურული მემკვიდრეობა

კიევი, 18 მარტი. (საკდესის კორ.). გამოჩენილი რევოლუციონერი, შესანიშნავი ბოლშევიკი-ლენინელი ამხანაგი არტემი არა ერთხელ გამოსულა მუშათა რევოლუციამდელ და საბჭოთა პრესაში, მაგრამ ამ უკანასკნელ ხანებამდე ლიტერატურაში არასაკმაოდ შუქდებოდა მისი ეროვნალისტური საქმიანობა. მოხსენიებული იყო კომუნისტი-ლენინელის მხოლოდ 37 ნაწერმი.

ნამდვილად კი, როგორც კიევის საინჟინრო-სამშენებლო ინსტიტუტის სკკპ ისტორიის კათედრის მასწავლებელმა ვ. ი. ტუკაევმა დაადგინა, არტემის ლიტერატურული შემოქმედება ამით როდი იფარგლება. მის კალამს ეკუთვნის 534 ნაწარმოები, რომლებშიც გაშუქებულია მუშათა კლასის მდგომარეობა რუსეთსა და საზღვარგარეთ, ბევრი ადგილობრივი ბოლშევიკური ორგანიზაციის საქმიანობა.

ვ. ი. ტუკაევმა 12 წელი მოანდომა არტემის ლიტერატურული მოღვაწეობის გამოკვლევას. მან შეიისწავლა მასალები, რომლებიც ინახება მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ხარკოვის, დონეცკის, დნეპროპეტროვსკის, ლუგანსკის, უფისა და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქების სახელმწიფო და პარტიულ არქივებში, მკვლევარმა აღმოაჩინა არტემის 390 პუბლიცისტური სტატია, ნარკვევი, წერილი.

საბჭოთა კავშირ-თურქეთის სავაჭრო ურთიერთობა

მოსკოვში წარმატებით დამთავრდა საბჭოთა კავშირისა და თურქეთის სავაჭრო დელეგაციების მოლაპარაკება, რომელიც ურთიერთგაგებისა და კეთილსასურველი თანამშრომლობის სულისკვეთებით მიმდინარეობდა. 18 მარტს ხელი მოაწერეს ამ ორ ქვეყნას შორის 1963 წლის 1 აპრილიდან, 1964 წლის 31 მარტამდე საქონელბრუნვის ოქმს.

ოქმი ითვალისწინებს, რომ მომავალში შესაძლებელია მნიშვნელოვნად გაიზარდოს საბჭოთა კავშირისა და თურქეთის ვაჭრობა და გაფართოვდეს იმ საქონლის ნომენკლატურა, რომელსაც ურთიერთს აწვდის ეს ორი ქვეყანა.

ოქმის თანახმად თურქეთი საბჭოთა კავშირში შემოიტანს მატყლს, ბამბას, ჩირს, ტყავის ნედლეულს, ცოცხალ პირუტყვს და თურქეთის სხვა ტრადიციულ საექსპორტო საქონელს.

სსრ კავშირი თურქეთს მიაწვდის მანქანებსა და მოწყობილობას, შავ ლითონებს, ხე-ტყის მასალასა და ქაღალდს, ქიმიურ საქონელს, ელოსიპედებს, საათებს და ფართო მოხმარების ზოგიერთ სხვა საქონელს. (საკდესი).

სარატოვი ოლქი. ენგელსის ხელოვნური ბოჭკოს ქარხნის აცეტატის წარმოებაში მწყობრში ჩადგა ახალი საწარმოო სიმძლავრენი. ამის შედეგად უკვე წელს საწარმო გამოუშვებს სამკერ მეტ აცეტატურ აბრეშუმს, ვიდრე წინათ.

სურათზე: ახალი მოწყობილობა აცეტატის წარმოების საფეიქრო საამქროში.

ფოტო ვ. ზემლიანინჩენკოსი (აკადესის ფოტოქრონიკა).

მეცნიერება და ცხოვრება

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება

14 მარტს გაიმართა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება, მიძღვნილი 1962 წლის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგებისადმი.

კრება გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა **ნ. მუსხელიშვილმა.**

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტების საქმიანობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი-მდივანი **ხ. დურმიშიძე.** მოძმესნეგელმა ილაპარაკა იმ დიდი მუშაობის შესახებ, რაც ქართველმა მეცნიერებმა გასწიეს სკკპ XXII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის, პლენუმის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებისათვის, განსაკუთრებით მეცნიერების იმ დარგების საქმიანობის შესახებ, რომელთა განვითარებას კარდინალური მნიშვნელობა აქვს სახალხო მეურნეობისათვის.

მეცნიერებმა ბევრი რამ განახორციელეს მატერიალური წარმოების ზრდისათვის, დანერგეს ახალი წინადადებანი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დარგში. საკმარისია ითქვას, რომ ისინი შარშან 184 პრობლემას ამუშავებდნენ. დიდი მუშაობა გასწიეს შარშან რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკისა და ბუნების მეცნიერებათა განყოფილებამ, ჰუმანიტარულმა სამეცნიერო დაწესებულებებმა.

მომხსენებელმა ამასთანავე ილაპარაკა იმ ნაკლოვანებებზე, რაც სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებს აქვთ. ცოტა გამოდის ფუნდამენტალური განმაზოგადებელი შრომები, განსაკუთრებით იმ საკითხებზე, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ცხოვრებასა და კომუნისტური შრომის პრაქტიკასთან, ჯერ კიდევ არ დამყარებულა საჭირო კავშირი ჰუმანიტარულ და საბუნებისმეტყველო დაწესებულებათა შორის და სხვ.

ხ. დურმიშიძის მოხსენების გამო კამათში გამოვიდნენ **მეცნიერები: ლ. დავითაშვილი, ნ. კეცხოველი, ლ. ჯაფარიძე, შ. ჭანიშვილი, ლ. ტატიშვილი, ფ. თავაძე, ნ. ლანდია, გ. ციცინელი, ვ. კუპრაძე, ვ. ჭავჭანიძე, გ. ახვლედიანი, პ. გუგუშვილი,** მწერალი-აკადემიკოსი **კ. გამსახურდია.**

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წლიური ანგარიშის განხილვა შეაჯამა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა **რ. დვალმა.** კრებამ დაამტკიცა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტების წესდება.

ჩაის თესლი — იუგოსლაველებს

ჩაქვი, (საკ. კორ.). ჩაქვის მეთესლეობის სარაიონთაშორისო კანტორამ სამოც ტონაზე მეტი ჩაის თესლი მიაწოდა საქართველოს სუბტროპიკულ რაიონებს. ამ დღეებში 30 ტონაზე მეტი თესლი გაეგზავნა აბრეთვე მოქმე აზერბაიჯანის რესპუბლიკის რაიონებს.

მეთესლეობის კანტორა სხვადასხვა თესლს ხშირად უგზავნის საზღვარგარეთელ მეგობრებს. მაგალითად, შარშან ჩაისა და ტრიფოლიატის თესლი გაიგზავნა იუგოსლავიაში, დაწინა და ტრიფოლიატისა — ვიეტნამში.



ჩვენ ქალაქში

ეკონომიკური ინფორმაციის ბიურო

ბაკურიანი, 18 მარტი. (საკ. კორ.). ბაკურიანში ეკონომიკური ინფორმაციის ბიურო ეწყობა. ბიურო ინფორმაციას ეკონომიკურ საკითხებზე ეროვნული ეკონომიკის ყველა დარგიდან, ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებისა და ეკონომიკური ანალიზის ორგანიზაციის, ეკონომიკური ინფორმაციის, ეკონომიკური ანალიზის

პარტიული ცხოვრება

მისი კაბინეტია მინდორი, ფერმა...

პარტიული კომიტეტის ინსპექტორ-პარტორგანიზატორის მუშაობის გამოცდილებიდან

ფერსათი...

მაღალი მთაც და მის კალთებზე გადაშლილი დიდი სოფელიც ამ სახელით არის ცნობილი.

წინათაც ყოფილა ფერსათში ნინო ყანჩაველი... ყოფილა როგორც „რაიონული მასშტაბის" აგრონომი და, ბოლოს, როგორც პარტიის რაიკომის ინსტრუქტორი.

ახლა სულ სხვაა. იგი მიდის ფერსათშიც, დაბა მაიაკოვსკშიც, წითელხევსა და ხანმიც, მაიაკოვსკის საწარმოო სამმართველოს ამ ხუთ კოლმეურნეობაში, არა იმიტომ, რომ ციფრები და ცნობები შეაგროვოს და შემდეგ, მივლინებიდან დაბრუნებულმა, კაბინეტში შეაჯამოს. არა, ახლა მისი კაბინეტია მინდორი, ზვრები. ფერმა...

ადგილზე. ცოცხალ სამუშაოზე ვნახეთ საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის ინსპექტორ-პარტორგანიზატორი.

ეს უკვე მეათედ მოვიდა იგი ამ მოკლე ხანში ფერსათის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში. ეს გასაგებიც არის. სწორედ აქ უნდა იყოს ხშირად, აქ. სადაც საზოგადოებრივი მეურნეობის ყველა დარგი ჩამორჩენილია.

რამდენიმე დღე მოანდომა ინსპექტორ-პარტორგანიზატორმა კოლმეურნეობაში საქმის მდგომარეობის შესწავლას. მიდიოდა ბრიგადებსა და ფერმებში, ესაუბრებოდა კომუნისტებს, კომკავშირელებს, უპარტიო კოლმეურნეებს. მასთან ერთად სწავლობდნენ საქმეს კოლმეურნეობის ახალი თავმჯდომარე გიგი ხონელიძე, პარტიიუროს მდივანი იამა გოგოლაძე...

არასახარბიელო გამოდგა კოლმეურნეობის ეკონომიური მაჩვენებლები — შარშან საშუალოდ ჰექტარზე მიიღეს 8 ცენტნერი სიმინდი, 20 ცენტნერი ლუერძენი. წველადობაშიც სამრეცხეროდ ჩამორჩენენ. საშუალოდ ერთ ძროხაზე 688 კილოგრამი რძე მიიღეს.

სამეურნეო საქმეები რომ შეისწავლა, ინსპექტორ-პარტორგანიზატორი ასევე ღრმად გაეცნო კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის საქმიანობას, გადაწყვეტილებებზე კომუნისტების განხილვას.

სურათი აქაც არასახარბიელო იყო. ზოგიერთი კომუნისტი თავს არიდებდა საკოლმეურნეო შრომას. მაგალითად, უშანგი ბუიძე სამუშაოთა არც ერთ პერიოდში არ გამოუმუშავებია შრომადღეების დაწერილები. მინიმუმი, ხოლო ლევან ახალაძემ ბედის ანაბარა მიატოვა მიჩენილი ვენახი, ამ ზამთარში კი სულ დაანება თავი შრომას. მეცხოველეობის ფერმაში თუმცა ორი კომუნისტი იყო, მაგრამ არ ჩანდა მათი პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის, მოუწესრიგებელი იყო აღრიცხვა და კონტროლი.

ინსპექტორ-პარტორგანიზატორმა ურჩია პარტბიუროს მდივანს ღია პარტიულ კრებაზე მოურიდებლად, პირუთვნელად მოლაპარაკებოდნენ კომუნისტებსა და უპარტიო აქტივისტებს. ასეც მოხდა.

კრებაზე დიდი სჯა-ბაასი გაიმართა ჩამორჩენის მიზეზებზე, მათი დაძლევის გზებზე, ახალ რეზერვებსა და ახალ ამოცანებზე. თავისი ავტორეტენზია სიტყვა თქვა ინსპექტორ-პარტორგანიზატორმა.

— პირველ რიგში ჩვენ, კომუნისტები, უნდა ვიყოთ მოწინავე ხაზზე. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში, — მიმართა კრების მონაწილეებს ნ. ყანჩაველმა. ჩვენ უნდა ავამაღლოთ პარტიული ორგანიზაციის, თვითეული კომუნისტის პასუხისმგებლობა კოლმეურნეობაში საქმის მდგომარეობისათვის. მოდით, თვითეულმა ვიფიქროთ, გავაკეთოთ გარკვეული დასკვნები.

— და კომუნისტებმა მართლაც გააკეთეს თავიანთთვის საჭირო დასკვნები.

ლევან ახალაძემ პირობა დადო სანიმუშოდ დაეპუშავებინა მიჩენილი 0.25 ჰექტარი ვენახი. თქვა, რიგთა შორის ხვნას, სასუქების შეტანას და ძირების გამობარვას 15 თებერვლამდე დავამთავრებო, და კიდეკაც დაამთავრა. ასევე მოიქცა კომუნისტი უშანგი ბუიძე.

კოლმეურნეობაში 40 კომუნისტია, მაგრამ ფერმაში მხოლოდ ორი მუშაობდა. რებას არ გასწევს. მაგრამ ისიც ცხადია, რომ გვერდს ვერ აუვლის ადგილზე წამოჭრილ მომწიფებულ სამეურნეო საკითხებს.

სოფელ ხანის კოლმეურნეობაში წინა წლებში კარტოფილის, კომბოსტოსა და ლობიოს უხვი მოსავალი მოჰყავდათ. ამ ბოლო დროს კი მთლად აიღეს ხელი ამ კულტურებზე. ხეხილის ბაღების მოვლაც თაბმინუბებული იყო. ყველაფერმა ამან უკან დასწია კოლმეურნეობის ეკონომიკა.

ინსპექტორ-პარტორგანიზატორის რჩევით წელს კოლმეურნეობა განაახლებს ბოსტნეულის თესვას, ხოლო ლობიოს სიმინდთან შერევით დათესავს 120 ჰექტარზე. კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის ინიციატივით ხელი მოჰკიდეს „კაკასხიდის" ფართობზე გაშენებული ხეხილის ბაღების მოვლას.

საქმეები მოეძალა ინსპექტორ-პარტორგანიზატორს ახლა, მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოების ჰერიოდში.

ნინო ყანჩაველი განსაკუთრებით ზრუნავს მოწინავე გამოცდილების დანერგვისათვის. ზონის ხუთი კოლმეურნეობის თავმჯდომარიდან სამი მიმდინარე წელს აირჩიეს. ნინომ ურჩია მათ გამონახონ დრო და სპეციალისტებთან ერთად ეწვიონ დაბა მაიაკოვსკის კოლმეურნეობას. გაეცნონ და შეისწავლონ მისი მუშაობის მოწინავე გამოცდილება. ამ წინადადებამ მხარდაჭერა ჰპოვა.

კონკრეტულად საქმის ცოდნით მუშაობს ინსპექტორ-პარტორგანიზატორი საკოლმეურნეო პარტორგანიზაციების, მათი ბრძოლისუნარიანობის ამაღლების საკითხებზე. სადაც და რა დროსაც უნდა ჰკითხოთ მას, ზეპირად იცის ზონის თვითეული პარტორგანიზაციის რიცხობრივი შემადგენლობა, კომუნისტების განაწილება წარმოების გადამწყვეტ უბნებზე, იცის რამდენი პარტიული ჯგუფია შექმნილი ბრიგადებსა და ფერმებში, რას აკეთებს თვითეული კომუნისტი.

ზონის კოლმეურნეობებში სულ 290 კომუნისტია. თვითეულ კოლმეურნეობაზე საშუალოდ 58 კომუნისტი მოდის. ეს დიდი ძალაა. დაეყრდნობა რა ამ ძალას, ინსპექტორ-პარტორგანიზატორი კიდევ მეტ დახმარებას გაუწევს პარტიულ ორგანიზაციებს მთავარი ამოცანის გადაწყვეტაში — სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებაში.

შ. ჯავახაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

პარტიული ქრონიკა

თელავი. (საკ. კორ.). თელავის სამრეწველო-საწარმოო ზონის პარტიულთა კომიტეტმა გამართა პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების სემინარი. კომიტეტის მდივანმა ა. ბარდოვნელმა წაიკითხა მოხსენება თემაზე: „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი და პარტიული ორგანიზაციების ამოცანები".

სანტერესო მოხსენებით გამოვიდა თელავის ძაფსაღები ფაბრიკის დირექტორი შ. ყარაულაშვილი. მან ილაპარაკა წარმოების მაღალი რენტაბელობის მიღწევის გზებსა და საშუალებებზე.

ტყიბული. (საკ. კორ.). **ამასწინათ სამრეწველო-საწარმოო ზონის პარტიულმა კომიტეტმა ორჯონიკიძის სახელობის შახტის მოაწყო მორიგი გამსვლელი კონსულტაცია. წაკითხულ იქნა ლექციები თემებზე: „ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებები მოქმედებაში", „საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა", „ოჯახის როლი ახალგაზრდობის აღზრდაში" და სხვ.**

გამსვლელ კონსულტაციას 100-ზე მეტი კაცი დაესწრო.

ᲒᲐᲠᲐᲚᲘᲐᲜᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡᲐᲜ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲙᲣᲗᲐᲘᲡᲔᲚᲘ ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲠᲔᲜᲢᲐᲑᲔᲚᲝᲑᲘᲡ „ᲡᲘᲛᲬᲘᲤᲘᲡ ᲐᲢᲔᲡᲢᲐᲢᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ"

როგორც ცნობილია, ჩვენი ქარხნის კოლექტივმა გადაწყვიტა უარი თქვას სახელმწიფო დოტაციაზე და უკვე 1963 წლს მიიღოს რენტაბელური მუშაობის „სიმწიფის ატესტატი".

თუ გავითვალისწინებთ, რომ ქარხანა შთელი თავისი არსებობის მანძილზე ზარალით მუშაობდა, ჩვენი მხრივ ეს მეტად გაბედული ნაბიჯია.

ამ დიდი და საპატიო ვალდებულების გასანაღდებლად ყველა საამქროსა და უბნისათვის შეკადგენეთ მუშაობის ოპერატიული გრაფიკი, მისი შესრულებისათვის დაადწესეთ ზუსტი კონტროლი, უფრო გონივრულად მოვაწყეთ მუშაობა, მთავარი უურადღება მოვაქციეთ შრომატევადი პროცესების მექანიზაციას. ახლებურად მუშაობის დაწყებიდან საკმარისი დრო გავიდა. შედეგები დამაკმაყოფილებელია.

ქარხანამ ვადაზე ადრე, ამასთან ყველა ტექნიკური ეკონომიური მაჩვენებლის მიხედვით გადაჭარბებით შეასრულა ორი თვის დავალება. საერთო პროდუქციის გამოშვების ორი თვის გეგმა შეასრულეთ 105,2 პროცენტით, სასაქონლო პროდუქციისა — 107 პროცენტით, ავტომანქანების გამოშვებისა — 109 პროცენტით, ხოლო სათადარიგო ნაწილებისა— 108,6 პროცენტით. ავტომანქანებისა და სათადარიგო ნაწილების გამოშვების დაკვალება შესრულდა აგრეთვე ყველა დაწესებული მარკისა და ნომენკლატურის დაცვით.

შარშან იმის გამო, რომ წარმოება ყოველმხრივ არ იყო მომზადებული, ჩამოალა ავტოგამწე „ცაზ-606"-ის გამოშვების გეგმა. ახლა სხვა სურათი გვაქვს. გადაკრით გავაუმჯობესეთ აღნიშნული მანქანის ტექნიკური აღჭურვილობა, ამასთან გადაჭარბებით გავანაღდეთ მისი გამოშვების იანვარ-თებერვლის დავალება.

ამ საერთო აღმავლობის ვითარებაში თავი იჩინე მთელი კოლექტივის ზრუნვამ რენტაბელობის ყველა რეზერვის ამოქმედებისათვის. წარმოების ყველა უბანზე ეკონომიისათვის ლაშქრობას სათავეში ჩაუდგნენ ქარხნის დირექტორი, საწარმოო „პარლამენტი", პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები.

ტექნიკურ საახლესთა განხორციელებით, ჩარხ-დანადგარების მოდერნიზაციით, აგრეთვე იმით, რომ განველილ ორ თვეში შესამჩნევად იკლო მუშათა დინამიკამ, შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით 4,7 პროცენტით, ხოლო გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 27,2 პროცენტით ამაღლდა.

ჩვენთვის გადაწყვეტილია ის, რომ ადგილზე გვქონდეს ᲫᲘᲚᲐᲓᲐ და სასოფლო-სამეურნეო ᲡᲘᲜᲐᲗᲚᲔ

ᲩᲠᲓᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲘᲜᲐᲗᲚᲔ

• ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲒᲐ ᲠᲔᲜᲢᲐᲑᲔᲚᲣᲠᲘ? •

ᲒᲘᲜᲐᲪ თბილისიდან კახეთისაკენ უმგზავრია, ათიოდე კილომეტრის გავლის შემდეგ შეამჩნევდა ვრცელ მინდვრებსა და პატარა გორაკებს. რამდენიმე წლის წინათ ისინი მწაზეკილთა სინანულს იწვევდა იმის გამო, რომ ამ ველების დიდი ნაწილი გადახრუკული იყო, უწყლობითა და სიცხით შეწუხებული მაღლიანი მიწა მოსავალს არ იძლეოდა.

ამ სამდიდრის გამოტაცება სტიქიისაგან ჩვენმა სახელოვანმა ადამიანებმა იკისრეს. დაჰკრეს ბარი, აგუგუნდნენ ბულდოზერები და სხვა სამანული ტექნიკა. რამდენიმე წელი და მიწას სიცოცხლე დაუბრუნეს.

არის ათასობით ჰექტარი სარწყავი მიწა სამგორის ველზე! ამ ვრცელ მიწაზე გაჩაღდა სართველელი, ეკარმელ-საცხენისელი, სამგორელი მშრომელების შუტეკა. მათ ველი გაეხსნეს ახლადგაცოცხლებულ მიწას და შეუდგნენ მარცვლეულისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების სწრაფად გადიდების ამოცანის გადაწყვეტას.

სულ რამდენიმე წლის წინათ შორს გაითქვა სახელი სართიჭალის გამსხვილებულმა კოლმეურნეობამ. აქ მემინდვრეობის განვითარება ისეთ დონემდე მივიდა, რომ კოლმეურნეობამ მიიღო მეთესლეობის მიმართულება, კარგად მუშაობდა ჯიშთა გამოცდის საცდელი ნაკვეთი.

მემინდვრეობისა და საკვების წარმოების ბაზაზე განვითარდა საზოგადოებრივი მეცხოველეობა. მალე ცნობილი და საქმეი გახდა დიდი მექანიზებული მეცხოველეობის ფერმა. აქედან აიდგა ფეხი მერი კვაპანტარაძემ და მისი სახელი შორს გაისმოდა. საშუალო სკოლადამთავრებულმა გოგონამ მწველობა დაიწყო და დიდ წარმატებებს მიაღწია. შრომამ და მხოლოდ შრომამ მოუტანა პოპულარობა და გზა გაუხსნა წინსვლისათვის. ახლა იგი ინსტიტუტში სწავლობს...

უკანასკნელ ხანებში დიდი შესაძლებლობანი, რეზერვები გამოვლინდნენ სამგორის მიწაზე. ამ ბაზაზე კი პირველად ჩამოყალიბდა მერძეველობა-მებოსტნეობის, მეველხეობის, მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობები. სულ რამდენიმე წელში ფრთა გაშალეს მუხროვანისა და სართიჭალის საბჭოთა მეურნეობებმა. მათ შესახებ ბევრი ქება-დიდება გვსმენია. ეს გარკვეულ პერიოდში, შეიძლება ითქვას, სწორი იყო. მაშინ ეს მეურნეობები წარმატებებს აღწევდნენ, ახალი ტექნიკისა და მოწინავეთა გამოცდილების დანერგვის კარგ მაგალითებს გვიჩვენებდნენ.

გავიდა ცოტა ხანი. მუხროვანის მეურნეობის მუშაობაში ბზარები გაჩნდა. პირველ ხანებში ეს შეუმჩნეველი რჩებოდა. შემდეგ კი ბზარები ნაპრალებად იქცა.

მაგრამ როდის მოხდა ყოველივე ეს?

დიდი ამბით, შემართებით დადგა საკითხი შექმნილიყო მერძეველობა-მებოსტნეობის დიდი საბჭოთა მეურნეობა. ეს ნამდვილად სწორი მოსაზრება იყო. დიდი ტექნიკა, მექანიზებული ფერმები, ვრცელი მინდვრები, სახელმოხვეჭილი სპეციალისტები, ასობით მშრომელი ადამიანი! აი ის ძალა, რომელმაც შეძლო უდიდესი „მთების" დაძვრა და მეურნეობის სახელისა და ღირსების დაცვა.

მაგრამ შემდეგ სავალალო რამ მოხდა. ვინ იფიქრებდა, რომ მუდამ საქმეი მეურნეობის გულში სამწუხარო ჩრდილი იბუდებდა. რას წარმოადგენდა მუხროვანის მეურნეობა 1961 წლის ბოლოსათვის?

ეს არის სართიჭალის მეურნეობასთან შეერთების პერიოდი. ჩავიხედოთ ბალანსში. ციფრები ნათლად მეტყველებენ მუხროვანელთა ჩრდილოვან მხარეებზე. ბალანსში თვალში გეცემათ ციფრი 481.282. ეს არის მანეთობით გამოხატული მეურნეობის ზარალი.

მეურნეობის არარენტაბელობა, ზარალი განაპირობა იმანაც, რომ ხორცის, რძის, კვერცხის წარმოებისა და ნამატი წონის თვითღირებულება კი არ მცირდებოდა, არამედ საგრძნობლად იზრდებოდა. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ცენტნერი ხორცის წარმოება დაჯდა 167 მანეთი და 58 კაპიკი ნაცვლად 130 მანეთისა და 39 კაპიკისა. ცენტნერი ფრინველის ხორცის წარმოება დაუჯდათ 615 მანეთი და 78 კაპიკ ნაცვლად 319 მანეთისა და 86 კაპიკისა.

მეტად დიდი იყო ნამატი. წონის თვითღირებელება. ცენტნერი რძის თვითღირებულებამ შეადგინა 19 მანეთზე მეტი ნაცვლად 13 მანეთისა. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ცენტნერი ხორცი დაჯდა 315 მანეთი და 07 კაპიკი ნაცვლად 120 მანეთისა და 20 კაპიკისა. ყოველი 1.000 ცალი კვერცხის თვითღირებულებამ შეადგინა 135 მანეთი და 43 კაპიკი ნაცვლად 60 მანეთისა და 70 კაპიკისა და სხვ.

საკვები ბაზის უქონლობამ, მოვლა-პატრონობის გაუარესებამ ძროხების საგრძნობი ნაწილი დაჯანდაგა. იკლო წველადობამ, იმატა ბერწიანობამ. 1961 წელს თერმეტ თვეში მუხროვანში 861 ძროხიდან სამეალოდ ერთ ძროხაზე მიიღეს 1.486 ლიტრი რძე, წლიური გეგმით უნდა მიეღოთ 2.300 ლიტრი რძე. მაშინ 80 სული ძროხა ბერწად დარჩა. ყოველ ას ძროხაზე მიღებული იყო 74 ხბო.

ᲬᲝᲗᲘ წლის წინათ მუხროვანში კარგი საქმე წამოიწყეს. ეს იყო ბიოდანადგარის მშენებლობა. ამ დანადგარის ამუშავების შედეგად ფერმები უზრუნველყოფილი იქნებოდა თბილი წყლით, გათბობით. ასევე უზრუნველყოფილი იქნებოდა მუშათა საცხოვრებელი სახლები გათბობითა და თბილი წყლით. ბიოდანადგარი იმუშავებდა ადგილობრივი ნაკელის ბაზაზე და ამ ნაკელის 50 პროცენტი გამოყენებული იქნებოდა სასუქად მინდვრებში. მაგრამ ეს სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა. ბიოდანადგარის მშენებლობა 1961 წელს მიატოვეს ნახევრად დაუმთავრებელი. ხარჯები კი დიდია გაწეული. ხარჯთაღრიცხვით მისი მშენებლობა უნდა დამკდარიყო 16.000 მანეთი, ამ მშენებლობაზე კი დაიხარჯა 22.382 მანეთი.

ასევე დაუმთავრებელი დარჩა ელექტრო გაყვანილობის მშენებლობა, რომელზეც დახარჯულია 6.742 მანეთი. ბედის ანაბარად არის მიტოვებული სანქროხის, საქათმის, საწიწილის მშენებლობანი, ხოლო მათზე დახარჯულია რამდენიმე ათეული ათასი ღანეთი. ცხადია, ეს ფაქტები მიუთითებს მეურნეობის უხეიროდ გაძღოლაზე, უპასუხისმგებლობაზე და, შეიძლება ითქვას, დანაშაულზე...

როგორც ზემოთ ვთქვით, ერთ წელზე ცოტა მეტი ხნის წინათ მუხროვანის საბჭოთა მეურნეობა შეუერთდა სართიჭალის საბჭოთა მეურნეობას. ახლა იგი ერთ-ერთი დიდი მეურნეობაა ჩვენს რესპუბლიკაში. ამ მეურნეობას თავის სარგებლობაში აქვს 17 ათას ჰექტარზე მეტი მიწა. აქედან სასოფლო-სამეურნეო სავარგულები შეადგენს 14.344 ჰექტარს. ამჟამად მეურნეობას ჰყავს 2.536 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი. მათ შორის 1.301 სული ძროხა. ჰყავთ 1.450 სული ღორი, 10.000 სულზე მეტი ცხვარი, 29.623 ფრთა ფრინველი და სხვ.

როგორც ჩანს, მეურნეობაში ძირითადი და გადამწყვეტი დარგია მეცხოველეობა. სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, მიწის სტრუქტურა და განლაგება იმის გარანტიას იძლევა, რომ შეიქმნას მტკიცე საკვები ბაზა და მეცხოველეობა წავიდეს აღმავლობის გზით. სახნავი მასივების დიდი ნაწილი მდებარეობს ზემო სამგორის ველზე და ჯერჯერობით რწყვა ხორციელდება მხოლოდ 3.700 ჰექტარზე.

1962 წელს დამდგარმა ცუდმა ამინდმა ძირითადად განაპირობა მოსავლიანობის კლებისა. შარშან სიმუალოდ ჰექტარზე მიღებულ იქნა 5,9 ცენტნერი მარცვალი. ძალზე დაბალი იყო სხვა კულტურების მოსავალიც. ასეთი პირობების მიუხედავად, მეურნეობის ხელმძღვანელობამ, სპეციალისტებმა მიიღეს ზომები და ერთგვარი წარმატებაც მოიპოვეს. გასულ წელს გადაჭარბებით შესრულდა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, მათ შორის ძროხებისა და ფრინველის სულადობის ზრდის წლიური გეგმები. მაგრამ შავ ლაქად ანია მეურნეობის მუშაობის შედეგებს პირუტყვის დაბალი პროდუქტიულობა. შარშან ერთ საფურაქე ძროხაზე მიღებულია 1.792 ლიტრი რძე ნაცვლად 2.250 ლიტრისა. ერთ კვერცხმდებელ ქათამზე მიიღეს 95,4 ცალი კვერცხი, გეგმა კი 110 ცალის მიღებას ითვალისწინებდა.

ამ ერთი წლის განმავლობაში ვერ მოხერხდა მუხროვანის ყოფილი მეურნეობის ნაკლოვანებათა აღმოფხვრა. ამას დამატა თვით სართიჭალელთა ნაკლოვანებანი, და არასახარბიელო შედეგები მივიღეთ. შარშან არ შესრულებულა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის დავალება. სულ წარმოებულ იქნა 21.792 ცენტნერი რძე ნაცვლად 28.000 ცენტნერისა. ყველა სახის ხორცის წარმოებამ შეადგინა 3.916 ცენტნერი ნაცვლად 5.865 ცენტნერისა.

მარცვლეულისა და სხვა კულტურების მეტად დაბალმა მოსავლიანობამ გამოიწვია საკვების შესყიდვა. საკმარისია ითქვას, რომ ყველა სახის პირუტყვის საკვებად დახარჯულია 343 ათასი მანეთის კომბინირებული საკვები. აქედან ნაყიდია 290.000 მანეთის კომბინირებული საკვები. ნაყიდია აგრეთვე 45.000 მანეთის წვნიანი საკვები, 78.000 მანეთის უხეში საკვები.

სულ ნაყიდ საკვებზე დახარჯულია 413 ათას მანეთზე მეტი. ეს მაშინ, როცა მეცხოველეობიდან შემოსავალმა შეადგინა 729.784 მანეთი. ამრიგად, მეურნეობამ გასული სამეურნეო წელი დიდი ზარალით დაამთავრა. სულ მემცენარეობიდან და მეცხოველეობიდან მიღებულმა ზარალმა 538.703 მანეთი შეადგინა.

ასეთ მსხვილ მეურნეობაში დიდი მნიშვნელობა აქვს მანქანების გონივრულად გამოყენებას, მექანიზაციის ფართოდ დანერგვას. მინდვრის სამუშაოები: ხვნა, თესვა, კultივაცია, მოსავლის აღება და სხვა მექანიზებულია 80-90 პროცენტით. დიდი ღონისძიებანი განხორციელდა მეცხოველეობის ფერმების მექანიზაციისათვის. ს. ს. დაიდგა საკვების საჭრელი, საფქვავი მანქანები, საკვების მიმწოდებელი, ნაკელის გასატანი და, რაც მთავარია, ელექტროსაწველი აგრეგატები. პირველ ხანებში გამართულად მუშაობდნენ მანქანები, რაც ყველას კმაყოფილებას იწვევდა.

ახლა მათი უმეტესობა რატომ არ მუშაობს?

მთავარი მიზეზი სათადარიგო ნაწილების უქონლობაა. ნუთუ არ იშოვნება ისინი? განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ საწველი აგრეგატების ნაწილები ჩვენს რესპუბლიკაში ცენტრალიზებული წესით შემოაქვთ, ვფიქრობთ, დადგა დრო იმისათვის, რომ ასეთი ნაწილების წარმოება ათვისებულ იქნას ჩვენს რესპუბლიკაში.

ᲐᲛᲐᲛᲐᲓ მწარე შედეგების წინაშე ვდგავართ. მუხროვანის მეცხოველეობის ფერმაში აქვთ სამი ცალი „უდმ-3" მარკის საწველი აგრეგატი. ისინი მიმღინარე წლის იანვრიდან უმოქმედოდ დგანან. ამის გამო მექანიზაციიდან ხელით წველაზე გადავიდა წარმოების 95 პროცენტი. კარგახანს იდგა უმოქმედოდ მანქანა „იოლოჩკა". მეურნეობის ხელმძღვანელებმა გადაწყვიტეს გაჩერებული საწველი აგრეგატების ზოგიერთი ჯანსაღი თითები გამოეყენებინათ. ასეც მოიქცნენ, ეა ახლა „იოლოჩკა" მუშაობს. საწველი აგრეგატი „ტენდემი", რომელიც 150 ძროხას ემსახურებოდა, გაჩერებულია.

შექმნილ მდგომარეობაზე კვლავ გრძელდება მიწერ-მოწერა, არის დაპირებები. მაგრამ დღემდე დაპირების შესრულებას კარგი პირი არ უჩანს. მანქანები ისევ გაჩერებულია და ყოველდღიურად იზრდება მატერიალური და შრომითი დანახარჯები. ეს კი ზრდის პროდუქციის თვითღირებულებას. ზარალს ზარალი ემატება!...

მეურნეობის დირექტორი, გამოცდილი სამეურნეო მუშაკი არჩილ დემეტრაძე, მთავარი აგრონომი თედო ოდიშარია, უფროსი აგრონომ-ეკონომისტი ოლეგ დენისოვი, მთავარი ზოოტექნიკოსი აბესალომ სვანიძე, ზოოტექნიკოსი ირაკლი თეთრაული, მთავარი ბუხჰალტერი გრიგოლ შეროზია და სხვა სპეციალისტები ანგარიშობენ, ადგენენ ნაკლოვანებათა გამოსწორების გეგმებს.

სხვა გზა არ არის. მეურნეობა უნდა გახდეს მომგებიანი. ამისათვის აუცილებელია სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გასარწყავება, ქარსაფარი ზოლების გაშენება, მაღალმოსავლიანი კულტურების თესვა, აგროღონისძიებათა მთელი კომპლექსის სრულყოფილად განხორციელება, მტკიცე საკვები ბაზის შექმნა, პირუტყვის ჯიშობრივი გაუმჯობესება, ხელოვნური დათესვლის ფართოდ დანერგვა, შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია, შრომის ორგანიზაციისა და დისციპლინის განმტკიცება, მატერიალური წახალისების ღონისძიებათა სრულად და სწორად განხორციელება.

კიდევ ერთ მდგომარეობაზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება. ცნობილია, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით მეურნეობის დაგეგმვას. 1962 წლის საწარმოო-საფინანსო გეგმის შედგენის დროს მეურნეობის ხელმძღვანელობამ, სპეციალისტებმა არსებული შესაძლებლობის ფარგლებში თავიანთი მოთხოვნები წაყაენეს. მაგრამ ამაც როდი გაუწიეს ანგარიში და არანორმალურად იქნა დაგეგმილი რძის, კვერცხის, ღორის ხორცის, ბრეშუმის პარკის წარმოება. აქ ჰყავთ უმთავრესად ადგილობრივი ჯიშის ღორები და მეღორეობის დარგი დაგეგმა მაღალნაყოფიერი ჯიშების დონეზე. დიდი ბარალი მისცა მეურნეობას მეაბრეშუმეობამ. აქაც არ იქნა მხედველობაში მიღებული საკუთარი საკვები ბაზის უქონლობა.

სართიჭალის მერძეველობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელებმა ყოველი ღონისძიებით უნდა გამოავლინონ მეურნეობის მდიდარი რეზერვები. მთელი ძალები დაარხმონ არსებული ნაკლოვანებათა მოკლე ხანში გამოსწორებისათვის. მათ ამ საქმეში ქმედითად უნდა დაეხმარონ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრო და მერძეველობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობების გარდაბნის სპეციალიზებული ტრესტი.

თუ მონდომება, დახმარება იქნება, მაშინ მთელი ძალით ამოქმედდება არსებული რეზერვები და ეს მეურნეობა რენტაბელური გახდება.

ნ. ჯანჯღავა,
„კომუნისტის" სპეც. კორ.

„ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲛᲔᲓᲗᲐ ᲓᲐ ᲞᲐᲠᲢᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲩᲐᲜᲡ, ᲒᲣᲚᲓᲐᲡᲛᲘᲡᲘ ᲐᲜᲐᲚᲘᲖᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲣᲙᲔᲗᲝᲗ ᲡᲐᲒᲐᲛᲝᲗᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲐᲜᲐᲚᲘᲖᲘᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲘᲦᲝᲗ ᲖᲝᲛᲔᲑᲘ ᲘᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲣᲤᲠᲝ ᲡᲬᲠᲐᲤᲐᲓ ᲓᲐᲒᲕᲘᲜᲐᲮᲝᲗ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲠᲫᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲜᲐᲗᲚᲝᲑᲘᲗ ᲓᲐᲜᲔᲠᲓᲝᲗ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲠᲫᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲐ. ᲛᲐᲗ ᲗᲐᲜᲐᲮᲐᲜᲘ ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲤᲔᲠᲛᲐᲨᲘ, ᲛᲔᲤᲠᲘᲜᲕᲔᲚᲔᲑᲗᲐᲜ, ᲑᲐᲚᲔᲑᲨᲘ, ᲕᲔᲜᲐᲮᲔᲑᲨᲘ. ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲛᲐᲠᲔᲔᲑᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲯᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘᲧᲝᲗ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲛᲔᲗᲝᲓᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲔᲑᲘ ᲒᲐᲮᲓᲔᲑᲐ. ᲛᲐᲗ ᲡᲘᲛᲬᲘᲤᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲑᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲔᲠᲫᲝᲚ

ორი სამყარო — ორი თვალსაზრისი

გაერთიანებულ ერების კომიტეტში

ჟენევა, 18 მარტი. (საკდესი). დღეს გაიმართა 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტის მორიგი პლენარული სხდომა.

სხდომა მიეძღვნა ატომური იარაღის გამოცდების შეწყვეტის საკითხს.

დასავლეთის წარმომადგენლები, თქვა ბულგარეთის დელეგატმა ბ. ტარაბანოვმა, სიტყვით ყოველთვის იმაზე ლაპარაკობენ, რომ მზად არიან გააკეთონ ყოველივე შესაძლებელი, რათა დადონ შეთანხმება ატომური იარაღის გამოცდების შეწყვეტის შესახებ. მაგრამ ამას მხოლოდ სიტყვით ამბობენ. ის, რასაც დასავლეთის სახელმწიფოები აკეთებენ, არ ემსახურება ატომური იარაღის გამოცდების შეწყვეტის, ატომური შეიარაღების შეწყვეტის საქმეს. სინამდვილეში დასავლეთის სახელმწიფოები ცდილობენ წვრილმანი ტექნიკური დეტალებით მიჩქმალონ მთავარი საკითხები.

ნიგერიის დელეგატმა მ. მბუმ გადაჭრით გაილაშქრა ატომური იარაღის გამოცდების წინააღმდეგ საჰარაში, რის მოწყობასაც საფრანგეთი აპირებს. ეს განზრახვა, აღნიშნა მან, საფრთხეს უქმნის მრავალი მილიონი ადამიანის სიცოცხლეს აფრიკის კონტინენტზე.

ჩ. სტელ (ამერიკის შეერთებული შტატები), რომელიც დღეგანდელ სხდომაზე გამოვიდა, ახალი აოფეერი შეუტანია 18 სახელმწიფოს კომიტეტის მუშაობაში. ამერიკის წარმომადგენელი ფაქტიურად მოითხოვდა, რომ უარი თქვან მთავარი საკითხების განხილვაზე, რომლებიც კომიტეტმა უნდა იმუშაოს, და ცდილობდა კვლავ ჩაება მოლაპარაკების მოგონილი დისკუსიაში მეორეხარისხოვანი საკითხების გამო.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის განცხადების გამო საპასუხო სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის დელეგატმა ს. კ. ცარაპკინმა.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საბჭოთა დელეგაციას არასოდეს არ მოუთხოვია, რომ ჯერ ხელი მოწერონ შეთანხმებას, ხოლო შემდეგ შეთანხმდნენ ინსპექციის ელემენტების შესახებ. საბჭოთა კავშირი მოითხოვს, რომ ჯერ შეთანხმდნენ საკითხის პრინციპული მხარეების შესახებ, ხოლო შემდეგ ტექნიკური დეტალების შესახებ. თუ ჩვენ გვინდა შეთანხმება, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უნდა მიიღონ ინსპექციათა ის რაოდენობა, რომლის სიმცირეც იძულებული გახდნენ თვითონ აღიარებინათ.

თუ არ არის შეთანხმება ინსპექციათა რიცხვის შესახებ, ამბობს საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი, რად გვინდა ტექნიკური დისკუსიები? ასეთ დისკუსიას აბსტრაქტული, უსაგნო ხასიათი ექნება. თუ ჩვენ შეთანხმდებით ინსპექციათა როდენობისა და ავტომატური სეისმური სადგურების რიცხვის შესახებ, მაშინ ყველა გზა გაიხსნება, რომ ხელი მოეწეროთ ასეთ შეთანხმებას. საბჭოთა დელეგაციას მიაჩნია, რომ ორი-სამი ინსპექცია მოლაპარაკების კარგი საფუძველია.

საბჭოთა დელეგატის გამოსვლის შემდეგ სიტყვა აიღო პოლონეთის წარმომადგენელმა მ. ბლუშტაინმა. პოლონეთის დელეგაცია, თქვა მან, თანახმაა, რომ საჭიროა მთავარი ყურადღება მიექცეს ატომური იარაღის გამოცდების შეწყვეტის პრობლემას. ვერავინ გახდის საკამათოდ, რომ ეს პრობლემა დიდმნიშვნელოვანია. მაგრამ პოლონეთის დელეგაციის მიაჩნია, რომ საჭიროა სხდომათა დღის წესრიგში შეიტანონ ისეთი საკითხები, როგორიც არის დეკლარაცია, რომ უარი ითქვას ეცხოეთის ტერიტორიათა გამოყენებაზე ატომური იარაღის მიტანის სტრატეგიულ საშუალებათა განლაგებისათვის, აგრეთვე ვარშავის ხელშეკრულების წევრ სახელმწიფოთა და ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა შორის თავდაუსხმელობის პაქტის პროექტი.

სხდომის დასასრულს კვლავ აიღო სიტყვა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა. საბჭოთა დელეგატი შეეხო კომიტეტის მომავალი მუშაობის პროცედურას და მტკიცედ მოითხოვდა, რომ თავდაუსხმელობის პაქტის საკითხი განიხილოს სრული შემადგენლობის კომიტეტის სხდომებმა.

18 სახელმწიფოს კომიტეტის მორიგი სხდომა გაიმართება 20 მარტს.

საგეიმო კრება სოფიაში

სოფია, 18 მარტი. საკდესის კორესპონდენტი პ. ორლოვა იუწყება:

დღეს აქ გაიმართა დედაქალაქის მშრომელთა საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა თურქთა მონობისაგან ბულგარეთის განთავისუფლების 85 წლისთავსა და სსრ კავშირისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების დადების 15 წლისთავს.

დამსწრენი მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ კრების პრეზიდიუმში შემოსულ ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ტოდორ ჟივკოვს, ბულგარეთის სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარეს დიმიტრ განევს და პარტიისა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელებს, აგრეთვე სსრ კავშირის ელჩს ბულგარეთში ნ. ნ. ორგანოვს. მოხსენება, რომელიც მიეძღვნა ამ თარიღს ბულგარეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა ცხოვრებაში, გააკეთა ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა, ბულგარეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ივანე ბაშევმა.

მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის ელჩმა ბულგარეთში ნ. ნ. ორგანოვმა.

კაშხალები თავნება ხუაიხეზე

პეკინი, 19 მარტი. (საკდესი). 9 წლის განმავლობაში მილიონობით გლეხს შრომის მეოხებით მდინარე ხუაიხის ზემო წელზე, მის მთავარ შენაკადებზე აეგო ისეთი დიდი წყალსაცავები, როგორიცაა ფოძინხინის, მაიშანისა და ბევრი სხვა. ამ წყალსაცავებმა შექმნეს უზარმაზარი ბენებრივი ტბები, რომელთაც კომპლექსურად იყენებენ მორწყვისათვის, ელექტროენერგიის გამომუშავებისა და მეთევზეობისათვის. სარწყავი არხების სიგრძე ანხუეის პროვინციაში ახლა 17 ათას კილომეტრს აღეტატება.

რას აკეთებენ ფიურსტენფელდბრუკის ეგრეთწოდებული პოლიტიკური ყაზარმების კურსანტები დასავლეთ გერმანიაში, ვის ამზადებენ აქ? ამაზე მოგვითხრობს ფოტონარკვევში ინგლისური საკვირაო გაზეთი „სანდი პიქტორიალი“. ისინი მარშით დადიან მდინარეთა გაყოლებით, სწავლობენ ტყვიამფრქვევის სროლას. მათ ასწავლიან, როგორ ებრძოლონ „მტრული ელემენტების შეღწევას“...

„სან-ხოსეს თათბირი საფრთხეს უქმნის ამერიკის ქვეყნებს“

ჰავანა, 18 მარტი. (საკდესი). „კენედის ვაზიტი კოსტა-რიკაში უდიდეს საფრთხეს უქმნის ამერიკის ქვეყნებს“ — ასეთი სათაურით დაბეჭდა გაზეთმა „ნოტისიას დე ოომ“ 17 მარტს სარედაქციო სტატია, რომელშიც აააკრავებს ამერიკის იმპერიალიზმის ჭეშმარიტ გეგმებს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისა და ცენტრალური ამერიკის ქვეყნებისა და პანამის პრეზიდენტთა თათბირზე, რომელიც 18 მარტს გაიხსნა კოსტა-რიკის დედაქალაქ სან-ხოსეში. „თათბირის მიზანია, — აღნიშნავს გაზეთი, — შოამზადოს კუბის რევოლუციის ჩახშობისა და ამერიკის კონტინენტის ამ სტატეგიულ რაიონში ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიური, პოლიტიკური და სამხედრო ბატონობის განმტკიცების ახალი გეგმები“.

სტატიაში ყურადღება ექცევა განსაკუთრებულ საფრთხეს, რასაც ქმნიან ცენტრალური ამერიკის ქვეყნების სამხედრო გაერთიანების გეგმები, რომლებსაც ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტური წრეები ადგენენ. ამ გეგმების განხორციელება, ხაზს უსვამს „ნოტისიას დე ოო“, ნიშნავს, რომ ცენტრალური ამერიკის ქვეყნების არმიის ფუნქციაში შევიდეს ყოველგვარი დემოკრატიული და სახალხო მოძრაობის ჩახშობა ამ ქვეყნებში.

სან-ხოსეს თათბირის მთავარი მიზანია, ხაზგასმულია, კერძოდ, კოსტა-რიკის „სახალხო ავანგარდის“ პარტიის ცენტრალური კომიტეტის განცხადებაში, ის, რომ ცენტრალური ამერიკის მთავრობები და ხალხები დააყენოს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის სახსახურში, რომელიც მტრულ პოლიტიკას ახორციელებს კუბის გმირი ხალხის მიმართ.

„გვატემალის პატრიოტული კავშირი“ თავის განცხადებაში აააკრავებს ცენტრალური ამერიკის ეგრეთწოდებული ეკონომიური ინტეგრაციის გეგმების ოპაქციულ არსს, რომელსაც აგრეთვე განიხილავს პრეზიდენტთა სან-ხოსეს თათბირი.

ბრძოლაში იჭედება ერთოგა

პარიზი, 18 მარტი. საკდესის კორესპონდენტი ი. ლოპატინი იუწყება:

უკვე მეთვრამეტე დღეა უფრამეტდოდ არის საფრანგეთის ყველა ქვანახშირის შახტი და რკინის სამადნო — გრძელდება მაღაროელთა საერთო ეროვნული გაფიცვა. შახტები გაჩერებულია. დიდი, პირამიდების მსგავსი ტერიკონების ძირას ვაგონები გაქაჯებულა. ამ თვრამეტი დღის განმავლობაში არც ერთი მუჭა ქვანახშირი არ ამოუღია.

ბრძოლის მსვლელობაში სულ უფრო მჭიდროდ ირაზმებიან გაფიცულთა რიგები. სხვადასხვა პროფკავშირული ორგანიზაციის ერთოობლივი მოქმედება, რაც გაფიცვის პირველ დღეებში ცალკეული მოვლენა იყო, ახლა ჩვეულებრივი საქმე გახდა.

მთავრობას ჯიუტად არ სურს დააკმაყოფილოს მაღაროელთა ცხოვრებით ნაკარნახევი მოთხოვნები. დღეს საფრანგეთის სამივე დიდი პროფკავშირული გაერთიანების წარმომადგენლები მიიღო მთავრობის კომისიის თავმჯდომარემ, რომელსაც დავალებული აქვს მეშახტეთა მდგომარეობის შესწავლა. შეხვედრას, ისევე როგორც წინა შეხვედრებს, არ მოუტანია...

ნორისა და პა-დე-კალეს დეპარტამენტების მაღაროელები ლორენელ მაღაროელთა მაგალითისამებრ ემზადებიან ლაშქრობა მოაწყონ პარიზში.

მაღაროელთა გაფიცვის წარმატებას ხელს უწყობს მზარდი და ძალიან ქმედითი სოლიდარობა, რასაც საფრანგეთის მოსახლეობის ყველა ფენა იჩენს. პა-დე-კალეს დეპარტამენტის გენერალურმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება გაფიცვის დროს ყველა ოჯახისთვის 200 ათასი ფრანკი.

ამავე დეპარტამენტის მაესწავლებლებმა გაფიცვის ფონდში შეიტანეს 50 ათასი ფრანკი და ვალდებულება იკისრეს თითოეულმა გადარიცხოს ერთი დღის ჯამაგირი.

ლორენში შახტების ინჟინრებმა მოაგროვეს 150 ათასი ფრანკი — პირველი შესატანი, რასაც სხვა მოჰყვება.

„რენოს“ საავტომობილო ქარხნების მუშათა დელეგაციამ გაფიცულებს გადასცა 43 ათასი ფრანკის ჩეკი.

ვაშინგტონის ზემოქმედება

ნიუ-იორკი, 19 მარტი. საკდესის კორესპონდენტი ლ. პონომარიოვი იუწყება:

ამერიკის საინფორმაციო სააგენტოები რიო-დე-ჟანეიროდან გადმოცემულ დეპეშებში იუწყებიან, რომ იქ ატყდა პროტესტის „პოლიტიკური შტორმი“ იმის წინააღმდეგ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ერეკვიან ბრაზილიის საშინაო საქმეებში. აღშფოთება გამოიწვია ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებამ, რომ ბრაზილიის მთავრობაში „კომუნისტები გაჩნდნენ“.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტო განმარტავს სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებას და წერს, რომ ამ განცხადებამ „ახალი ძალები შემატა გამოსვლებს კონგრესში ბრაზილიისათვის დახმარების გაწევის წინააღმდეგ“. „კონგრესში გაისმის მოთხოვნები არ გაუწიონ ბრაზილიას „დახმარება, სანამდე იგი არ გაწმენდს თავის სახლს კომუნისტებისაგან ან უკიდურესი მემარცხენეებისაგან, — იუწყება სააგენტო. ბრაზილიამ აგრეთვე უნდა დაამტკიცოს, რომ ამერიკის დახმარებას არ გამოიყენებს იმ მიზნებით, რომლებიც ხელს შეუწყობს ვაჭრობას საბჭოთა კავშირთან“.

ვაშინგტონი, ხაზგასმით აღნიშნავს ასოშიეიტედ პრესი, ცდილობს აიძულოს ბრაზილიის მთავრობა დაიკავოს უფრო მკაცრი ანტიკომუნისტური ხაზი. მათ შორის კუბის მიმართაც.

მეზობლური ძალებივით უნდა ცხოვრობდნენ

თეირანი, 18 მარტი. (საკდესი). „ჩვენ, ირანის მენავთობეებს, გვსურს გვქონდეს ნამდვილი კეთილმეზობლური დამოკიდებულება ჩვენს დიდ ჩრდილოეთელ მეზობელთან. ირანელები ამბობენ, რომ მეზობლებმა ძმებივით უნდა იცხოვრონ. ჩვენ საბჭოთა კავშირი მიგვაჩნია უფროს ძმად და გვსურს, რომ ჩვენი ძმური მეგობრობა ურღვევი იყოს და ხელს უწყობდეს მშვიდობის განმტკიცებას შუა აღმოსავლეთში“, — განაცხადა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში ირანის ნავთობის ეროვნული კომპანიის ამბადანის განყოფილების ხელმძღვანელმა მოსადეკმ.

მოსადეკმ მოითხოვა აგრეთვე, რომ დამყარდეს მჭიდრო ურთიერთობა ორი ქვეყნის მენავთობეთა შორის.

ამ ცოტა ხნის წინათ დანიშნულმა ელჩმა საბჭოთა კავშირში ადამიატმა ეურნალისტებს თეირანში განუცხადა, რომ იგი „ოპტიმისტურად არის, განწყობილი ირან-საბჭოთა კავშირის მიმავალი ურთიერთობის მიმართ“.

კენედი ევროპაში

პოზიციებზე

დასავლეთ ბერლინი, 19 მარტი. (საკდესი). დასავლეთ ბერლინის ბურგომისტრმა ბრანდტმა გუშინ ქალაქის დეპუტატთა კრების სხდომაზე განცხადება წაიკითხა ქალაქის სენატის საქმიანობის პროგრამის შესახებ.

ბრანდტი გამოვიდა იმის მომხრედ, რომ დასავლეთ ბერლინში კვლავ იყვნენ დასავლეთის სახელმწიფოთა ჯარები და გაძლიერდეს ეკონომიური და პოლიტიკური ურთიერთობა დასავლეთ ბერლინსა და დასავლეთ გერმანიას შორის.

ბრანდტი ცდილობდა ხელი შეეშალა დასავლეთ ბერლინსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკის ურთიერთობის ნორმალიზაციისათვის და გაილაშქრა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან ყოველგვარი მოლაპარაკების წინააღმდეგ.

საფრანგეთის მთავრობა უკან იხევს

პარიზი, 19 მარტი. (საკდესი). ლორენის რკინის მადნის აუზის ძალაოელებმა, რომლებმაც ამ დღეებში მოაწყეს „ლაშქრობა პარიზზე“, ითიბოვეს პირველი წარმატება თავიანთ საგაფიცვო ბრძოლაში: მთავრობისა და მეწარმეთა წარმომადგენლები შეთანხმდნენ დაუყოვნებლივ დაიწყონ მოლაპარაკება. მაღაროელები მოითხოვენ ხელფასის გადიდებასა და შრომის პირობების გაუმჯობესებას.

შრომის საყოველთაო კონფედერაციისა და საფრანგეთის ქრისტიან მშრომელთა კონფედერაციის პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა ეს დათმობა შეაფასეს როგორც „პირველი ძალიან დიდმნიშვნელოვანი შეიარაღება“, რომელიც მოპოვებულია შეუპოვარი საგაფიცვო ბრძოლის მეოხებით, და მოუწოდეს მაღაროელებს დაეთანხმნენ გაფიცვის შეწყვეტას ხვალიდან. ისინი ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ მაღაროელები ფიზიზლად და მზად უნდა იყვნენ, რათა გამოიყენონ ყოველი საშალება, მთ შორის გაფიცვაც, იმისათვის, რომ მთავრობამ დაიცვას მათთვის მიცემული ვალდებულებანი.

საით მიდის სირია?

ჯერ კიდევ ერთი თვის წინათ, ერაყში სამხედრო გადატრიალების პირველსავე დღეს, ახლო აღმოსავლეთის საქმეებს გაცნობილი მიმომხილველები წინასწარმეტყველებდნენ, რომ ამბები, რაც დაიწყო მსოფლიოს ამ რაბოწში, სადაც ყველაზე მეტად მოსალოდნელია აფეთქებები, „ჯაჭვური რეაქციას“ გამოიწვევსო. ასეც მოხდა. 8 მარტს სირიის დედაქალაქის მცხოვრებლებმა რომ გაიღვიძეს, ახალი რეჟიმი დამდგარა. სირიის არაბთა რესპუბლიკაში ძალაუფლება ხელში აიღეს სამხედროებმა „რევოლუციური სარდლობის ეროვნული საბჭოს“ ხელმძღვანელობით.

„არმიის მოძრაობის მიზანია დაუბრუნოს სირია ჭეშმარიტი არაბულობის პრინციპებს“, — ნათქვამია ხალხისადმი ამ საბჭოს მიმართვაში. საგარეო პოლიტიკის დარგში ახალი ხელისუფალნი აცხადებენ ერთგულებას საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებებისადმი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებისა და ბანდუნგის პრინციპებისადმი, პოზიტიური ნეიტრალიტეტისა და ყველა სახელმწიფოთან თანაბარ საფუძველზე თანამშრომლობის პოლიტიკისადმი.

პრემიერ-მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი გახდა ერთ-ერთი ლიდერი მკითხველებისათვის უკვე ცნობილი ნაციონალისტური პარტიის „ბაასისა“ სალაჰ ედდინ ბითარი. არმიის მთავარსარდალად დანიშნულია გენერალ-ლეიტენანტი აღ-ატასი. დანიშნული არიან აგრეთვე მათი მოადგილეები და სხვა ახალი მინისტრები.

ცნობილია, რომ ბითარს წარსულშიც ეკავა მინისტრის მთელი რიგი პოსტები, ხოლო ეგვიპტესთან სირიის გაერთიანების შემდეგ იყო არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის კულტურისა და ეროვნული ხელმძღვანელობის მინისტრი. გადატრიალებისთანავე სასწრაფოდ დაბრუნდა ბაღდადიდან დამასკში ერთ-ერთი ფუძემდებელი და იდეოლოგი „ბასის“ პარტიისა სირიაში მიწელ აფლიაკი, რომელიც ცნობილია თავისი პანარაბული მოწოდებებით.

დამასკში მომხდარმა სამხედრო გადატრიალებამ მსოფლიო პრესის დიდი გამობმატრება გამოიწვია. მაგალითად, ლონდონის გაზეთები „ტაიმსი“ და „გარდიანი“ ამ გადატრიალებას პირდაპირ უკავშირებენ ერაყის ამბებს. ამ ვერსიას მხარს უჭერს პარიზის „ფიგაროც“, რომელიც წერს: „გადატრიალება სირიაში, როგორც ჩანს, „ბაასის“ პარტიის ნახელავია, იმ პარტიისა, რომელმაც ამას წინათ გადატრიალება მოახდინა ერაყში. ეს პარტია მომხრეა ერაყის „ეროვნული ... „ბაასისა“. [illegible] ... ერაყმა [illegible] ... ეროვნული [illegible] ... ეროვნული [illegible] ... ეროვნული

ინტერვიუ • ცნობები • ფაქტები • სპორტის ამბები

მუსიკალური აღზრდის კიდევ ერთი კერა

ნორჩების ხელოვნება

კონსერვატორიის დიდ დარბაზში ამას წინათ გაიმართა ფრიად საინტერესო კონცერტი, რომელიც მოეწყო თბილისის ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მუსიკალური აღზრდის მოწაფეთა ძალებით. საყოველთაოდ ცნობილია დიდი და ნაყოფიერი აღმზრდელობითი მუშაობა, რომელიც ამ სასახლის წრეებსა და სექციებში მიმდინარეობს. ფრიად სასიხარულოა, რომ ამ საქმიანობაში, ბავშვთა მუსიკალურ აღზრდასაც სერიოზული ყურადღება ექცევა.

მუსიკალური განყოფილება, რომელიც არცთუ დიდი ხანია ჩამოყალიბდა, სამუსიკო სკოლად გადაკეთდა. დღეს ამ სკოლაში ჩამოყალიბებულია საფორტეპიანო, სავიოლინო, ჩელოს, კლარნეტის, საყვირის, საკომპოზიციო, კამერული ანსამბლის, საგუნდო და საორკესტრო კლასები. ასე რომ მუსიკის მოყვარულ ყმაწვილებს საშუალება აქვთ აირჩიონ მუსიკის რომელიმე დარგი და ამ მხრივ დახელოვნდნენ, ამასთან სრულებით არ არის საკალდებულო ამ სკოლის დამთავრების შემდეგ კონსერვატორიაში სწავლის განგრძობა. ის ცოდნა და მუსიკალური ჩვევები, რასაც ახალგაზრდა აქ მიიღებს, საკმაოდ საკმარისია მუსიკის ხელოვნებაში გარკვევისა და მხატვრული გემოვნების განვითარებისათვის. არას ვიტყვით იმ ესთეტიკურ სიამოვნებაზე, რომელსაც შემდეგში სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს, ამა თუ იმ მუსიკალური ინსტრუმენტის დაკვრა განაცდევინებს.

კონცერტის მონაწილეთაგან კარგი შთაბეჭდილება დატოვეს ნორჩმა პიანისტებმა: მაია კაკაურიძემ, თამარ პეტროვამ, რუზგენ შეროზიამ, ჯემალ ნარიმანიძემ, ნორაირ არაბაჯიანმა, მედეა დავიდოვამ და სხვ. უტყუარი პიანისტური მონაცემები გამოამჟღავნა ბორის გეგეჭკორმ, რომელმაც ტემპერამენტულად შესრულა ლისტის „ჯუჯების სვლა“. გაბედულად, მუსიკალურად და რიტმის მტკიცე დაცვით დაუკრეს მეოთხე კლასის მოწაფეებმა ეთერ გოგუაძემ და ნათელა გამყრელიძემ რახმანინოვის „პოლკა“, დიანა გაბელაიამ ყურადღება მიიპყრო ბოროდინოს პიესის („მონასტერში“) გაჯერებული, გრძნობიერი გადმოცემით.

ძლიერი შთაბეჭდილება დატოვა 9 წლის ზურაბ ფარემუზაშვილმა, რომელმაც ჩინებულად დაუკრა დ. კაბალევსკის „მხედრული“. მისივე ვარიაციები უკრაინულ თემაზე და ლაკის ტარანტელა. ნორჩი აუდიტორია იმდენად გაიტაცა პატარა პიანისტის დაკვრამ, რომ გამოსვლა გაამეორებინეს. ამჯერად მან საკუთარი პიესა შეასრულა. კონცერტის ყველაზე ძლიერ მონაწილედ გამოირჩა მუსიკალური ათწლედის ყოფილი მოწაფე ნანი გვასალია. მის მიერ პაიდნის სონატა რე მაჟორის და შოპენის ფანტაზია-ექსპრომტის გაბედულ, სტილისტურად და ტექნიკურად გამართულ შესრულებას, გარდა მზარდი ნიჭისა, ეტყობოდა მისი პედაგოგის, ცნობილი საბჭოთა პიანისტის ტატიანა გოლდფარბის მუსიკალური ხელმძღვანელობის ნაყოფიერი გავლენა. ნ. გვასალიას ყველა მონაცემი აქვს იმისათვის, რომ შემდგომი დაკვირვებული და სისტემატური მეცადინეობის შედეგად შესამჩნევი ადგილი დაიკავოს მოწინავე ქართველ პიანისტთა რიგებში.

ნორჩ პიანისტთა წარმატებები უზრუნველყოფილია გამოცდილი, საქმისათვის თავდადებული პედაგოგების მოღვაწეობით. მათ რიცხვს ეკუთვნიან თ. გეგეჭკორი, რ. ბერძენიშვილი, მ. ერისთავი, ი. გაბუნია, ლ. თუხარელი, ზ. გორგოშაძე, თ. ქართველიშვილი, მ. გევონდიანი.

სკოლის მიღწევად უნდა მივიჩნიოთ ისიც, რომ, გარდა საფორტეპიანო კლასისა, ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს საორკესტრო ინსტრუმენტთა კლასებშიც. ამაზე მეტყველებს კონცერტის მონაწილეთა საკმაოდ დიდი რაოდენობა ნორჩი ვიოლინისტებისა, რომელთა შორის აღსანიშნავი არიან კონსტანტინე ლორთქიფანიძე, სერგო კამანდაროვი, იოსებ მესხი (ბავშვთა ორკესტრის კონცერტმეისტერი), ნინო ზახაროვა, ზინაიდა რაკანტი, მარინე ცაგარეიშვილი, ჩელოს დამკვრელები — თეიმურაზ ლეჟავა, ნატალია ზახაროვა და სხვ. საფორტეპიანო აკომპანემენტს სანიმუშოდ ასრულებდა გამოცდილი კონცერტმეისტერი რისი.

ამ დარგს ხელმძღვანელობენ პედაგოგები ელენე მადე და ბორის გალკინი. ხოლო ჩელოს კლასს — ბ. გაბუნია. პირველი, პედაგოგ ელდარ ისაკაძესთან ერთად, ხელმძღვანელ ო ბ ს სიმებიანი კვარტეტის კლასს, ხოლო ბ. გალკინი კარგად უძღვება სკოლის მოსწავლეთაგან შემდგარ სიმებიან ორკესტრს. პატარა ორკესტრანტებმა მწყობრად, საკმაოდ მუსიკალურად შეასრულეს ბელა ბარტოკის სამი მცირე ფორმის საორკესტრო პიესა. სხვათა შორის, არ იქნებოდა ტყული ჩვენმა კომპოზიტორებმა ყურადღება რომ მიაქციონ ნორჩ ორკესტრანტთა სათანადო რეპერტუარის შექმნას.

სკოლის ხელმძღვანელობა ზრუნავს ბავშვებში საკომპოზიტორო ნიჭის გამოვლინებისა და მისი სათანადო წარმართვისათვის. კონცერტზე შესრულებულ იქნა 8 წლის ირინე ივანოვას „წიწილები“ და „მარში“, ზ. ფარემუზაშვილის საფორტეპიანო პიესა. ბაღრი ჩადუნელმა, მის მიერვე შესრულებულ „მუსიკალურ მომენტში“ (ხელმძღვანელი — კომპოზიტორი ნ. მამისაშვილი) აშკარა საკომპოზიტორო მონაცემები გამოამჟღავნა.

მოსაწონია კონცერტის პროგრამა, რომელშიც წარმოდგენილი იყო ქართველი, რუსი და უცხოეთის კომპოზიტორების ნაწარმოებები.

ჩვენი საზოგადოებრიობა მალე იხილავს ნორა ექასანიშვილის საბავშვო ოპერის („გასეირნება“) დადგმას. სპექტაკლის მონაწილე სოლისტები, გუნდის (ლოტბარი ვლ. ჭუმბურიძე), ორკესტრის წევრები და მოცეკვავენი (ქორეოგრაფი — ე. ჭოხონელიძე) ბავშვები არიან.

პიონერთა სასახლის მუსიკალური აღზრდის განყოფილების ხელმძღვანელები — თეიმურაზ ცომაია, მისი მოადგილე სასწავლო ნაწილში თამარ ქართველიშვილი პედაგოგებთან ერთად დიდ და სასარგებლო მუშაობას ეწევიან, რაც ყურადღებისა და გულწრფელი მადლობის ღირსია. გვჯერა, რომ პიონერთა სასახლის მუსიკალურ-აღმზრდელობითი მუშაობა შემდეგშიც მზარდი წარმატებით წარიმართება.

პავლე ხუჰუა.

სურათებზე: ზემოთ — უკრავს ნ. გვასალია; ქვემოთ — ბავშვთა სიმებიანი ორკესტრის გამოსვლა (დირიჟორი ბ. გალკინი).

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

მოვუსმენთ ივ მონტანს, ჰარი ბელაფონტეს, იოვანას

მრავალი საინტერესო მხატვრული კოლექტივი და შემსრულებელი ეწვევა ჩვენს დედაქალაქს ამ უახლოეს ხანში საზღვარგარეთის ქვეყნებიდან. დავასახელებთ ზოგიერთ მათგანს, რომლებიც ჩვენი გაზეთის კორესპონდენტს გააცნო საქართველოს სსრ სახელმწიფო ფილარმონიის დირექტორმა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ გ. ყიფიანმა.

თბილისელები მოუსმენენ ცნობილ ფრანგ მომღერალსა და კინომსახიობს **ივ მონტანს**, რომელიც მეორედ ეწვევა საბჭოთა კავშირს.

გასულ წელს თბილისელები აღფრთოვანა ბერძენი მომღერლის **იოვანას** კონცერტებმა. წელს აგვისტოში იოვანა კვლავ დაგვატკბობს თავისი შესანიშნავი ხელოვნებით. საბერძნეთიდან მოწვეულია აგრეთვე საბერძნეთის ცნობილი ტრაგედიის თეატრი.

წელს ამერიკელი შემსრულებლებიდან თბილისელები გაეცნობიან ორი პიანისტის **ბრანტ იოჰანესენისა** და **იუჯინ ლისტის** ხელოვნებას, მოუმენენ ცნობილ მომღერალს **ჰარი ბელაფონტეს** თავის ორკესტრთან ერთად.

მოკლედ ყველაფერზე

◆ ზუგდიდი. (საკ. კორ.). საქვაჭრობის ზუგდიდის განყოფილებამ არჩევნების დღეს, 17 მარტს, საზეიმო ვითარებაში გახსნა ახალი უნივერმაღი.

უნივერმაღს აქვს ქსოვილების, ფეხსაცმლის, პარფიუმერიის, შეკეერილი ტანსაცმლის სექციები, რომლებიც გაფორმებულია ლამაზად და გემოვნებით. გახსნის პირველ დღეს უნივერმაღმა მოსახლეობას გეგმის ზევით ათასობით მანეთის მრავალფეროვანი და კარგი საქონელი მიჰყიდა.

◆ ტყიბული. (საკ. კორ.). ამ დღეებში ბავშვთა საავადმყოფოს შენობაში გაიხსნა ბიბლიოთეკა, რომელიც საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობს.

ბიბლიოთეკა ძირითადად პატარა პაციენტებსა და მედმუშაკებს ემსახურება.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრეზიდიუმი

გაიმართა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის სხდომა, რომელშიც განიხილა რესპუბლიკის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის პლენუმის მოწვევის საკითხი.

პლენუმი განიხილავს შემდეგ საკითხებს: „რესპუბლიკის პრესა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში“ და „რესპუბლიკის გაზეთებში დაბეჭდილ მასალათა ქმედითობა“.

(საქდესი).

საუკუნეთა მიღმა

ამას წინათ ქართველმა აღმოსავლეთმცოდნეებმა მიიღეს VI საუკუნეში იერუსალიმში დაარსებული ქართული ჯვრის მონასტრის ბიბლიოთეკის ძვირფას ხელნაწერთა მიკროფილმები. მიკროფილმები გამოგზავნა ამერიკის შეერთებული შტატების აღმოსავლეთის საბიბლიოთეკო ფონდების შემსწავლელმა ორგანიზაციამ მეცნიერული ლიტერატურის გაცვლის წესით. მიკროფილმების შეძენის ინიციატორი იყო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი, პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი ვ. უზნაძე.

ჯვარის მონასტრის ხელნაწერები

საქართველოს ისტორიის სპეციალისტები უკვე დიდი ხანია ეხმარებიან ამერიკელ მეცნიერებს, რომლებიც კავკასიის ხალხთა კულტურულ ძეგლებს სწავლობენ.

ქართველოლოგიას ამერიკის შეერთებულ შტატებში საფუძველი ჩაუყარა პროფესორმა რობერტ ბლეიკმა, რომელიც რამდენიმე წლის მანძილზე ქართულად კითხულობდა ლექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ბლეიკი გამოჩენილი მეცნიერების ნიკო მარისა და ივანე ჯავახიშვილის მოწაფე იყო. საქართველოდან მიღებული ხელნაწერების მიხედვით პროფესორმა ბლეიკმა გამოსცა ეპიფანე კვიპროსელის ცნობილი „ტრაქტატი თვალთათვის“, რომლის ბიზანტიური ორიგინალი დაკარგულია. ამერიკელმა მეცნიერმა ეს ნაწარმოები ქართულიდან ლათინურ და ინგლისურ ენებზე თარგმნა და თავისი შენიშვნები დაურთო. ამერიკის შეერთებული შტატებიდან მიღებულმა ფოტოსლენტებმა გაამდიდრეს ჯვრის მონასტრის ბიბლიოთეკის მასალები, რომლებიც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება. ეს ხელნაწერები თავის დროზე აღწერეს ა. ცაგარელმა, ნიკო მარმა და სხვა მკვლევარებმა.

მიღებულ ხელნაწერთა ყველა ეგზემპლარი, რომელთა რაოდენობა ასს აღემატება, დაწერილია ძველბერძნულ ენაზე. მათ შორის არის პერგამენტებზე დაწერილი VIII, IX, X საუკუნეების ძეგლები. ხელნაწერთა უმრავლესობა სასულიერო შინაარსისაა. მათი ავტორები არიან იმდროინდელი ბიზანტიის პროგრესული მოღვაწენი — ქრისტიანული ფილოსოფიის ფუძემდებელნი — იოანე ოქროპირი (IV ს.), მაქსიმე აღმსარებელი (VII ს.), იოანე დამასკელი (VIII ს.) და სხვანი. იოანე ოქროპირისა და მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრება და მოღვაწეობა მჭიდროდ არის დაკავშირებული საქართველოსთან. ისინი ბიზანტიიდან დასავლეთ საქართველოში გადმოასახლეს და მთელი ცხოვრება აქ გაატარეს.

ბიბლიოთეკის ფონდებში აღმოჩენილია მონასტრის ოთხი წესდება. ერთი მათგანი, თვალსაჩინო საბჭოთა ბიზანტოლოგის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის სიმონ ყაუხჩიშვილის აზრით, ჯვარის მონასტრის წესდებაა. ეს წესდება გვაცნობს მონასტრის სოციალურ-ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებას. ძლიერ საინტერესოა ბიზანტიის დაცემის ეპოქის (XIII–XIV ს. ს.) უანონიმო ავტორის გრიგოლ პახომერისა და გიორგი ფრანძესის ისტორიულ თხზულებათა ხელნაწერები, რომლებიც შეიცავენ ცნობებს საქართველოს შესახებ.

(საქდესი).

დიდი ფეხბურთის კონტურები

სტუმრად ჩემპიონთა ბიბლიოთეკაში

სსრ კავშირის ჩემპიონი ფეხბურთში მოსკოვის „სპარტაკი“ წვრთნას ყირიმის სანატორიუმში, იალტაში გადის. ჩვენმა კორესპონდენტმა ინახულა სპარტაკელთა უფროსი მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი **ნიკიტა სიმონიანი** და ესაუბრა მას.

ეი კითხვები და პასუხები.

რა იქნება ახალი სპარტაკელთა ბრძოლის ტაქტიკაში?

— ჩვენი ტაქტიკის საიდუმლოებას ვერ გაგიმხელთ, — ღიმილით მიპასუხა ნ. სიმონიანმა, — თბილისის დინამოელები გიგებენ და ჩვენთან თამაში გაუადვილდებათ. ეს, რასაკვირველია, ხუმრობაა. სინამდვილეში კი, როგორც იცით, საბჭოთა გუნდები, მათ შორის სპარტაკელები, შეიარაღდნენ ბრაზილიური ეგრეთწოდებული ოთხი მცველის ტაქტიკით. მოსამზადებელ პერიოდში, ჩვენი მიზანია ამ ტაქტიკის კიდევ უფრო სრულყოფა.

რა არის ახალი თქვენი გუნდის შემადგენლობაში?

— ჩვენგან საბჭოთა არმიაში გაიწვიეს ფროლოვი და პეტროვი. კეტერანებმა ისევეშა, ივაკინმა და პეტროვმა შეწყვიტეს თამაში. არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ დაკვიბრუნდა ამბარცუმინი. მოსკოვის „ლოკომოტივიდან“ გადმოვიდა მეკარე მასლაჩენკო.

დუბლიორთა რიგები შეიესო ჩვენი კლუბის ახალგაზრდებით, რომლებმაც ჭაბუკთა საკავშირო ტურნირში პირველი ადგილი დაიკავეს. მათ შორის ყველაზე პერსპექტიული არიან სერგეევი, კოროტკოვი, პუსანოვი.

როგორია თქვენი გეგმები საიუბილეო ჩემპიონატში?

— ცხადია, დიდი სურვილი გვაქვს პირველობა შეკინარჩუნოთ, მაგრამ ეს — მეკარეთა შორის ია[illegible] — [illegible] — [illegible] — [